16/05/2019

საქართველოს საპატრიარქოს ფონდ ,,გაამწვანე საქართველოს” ორგანიზებით ირინე ენუქიძის სახლთან გამწვანების ღონისძიება ჩატარდა

ა.წ. 16 მაისს საქართველოს საპატრიარქოს ფონდ ,,გაამწვანე საქართველოს” (აღმასრულებელი მდივანი გოჩა არონიშიძე) ორგანიზებით ქალბატონ ირინე ენუქიძის სახლთან გამწვანების ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ოჯახის ახლობლებმა, მეგობრებმა, ფონდის პარტნიორებმა, – შპს. ,,მწვანე სახლმა”(დირექტორი მირიან მდივანი) და ,,ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ” (ხელმძღვანელი რეზო ბეჟაშვილი).

ირინე ენუქიძე იყო სამაგალითო ადამიანი, ღირსეული დედა და მეუღლე. იგი როგორც

სამართლიანობისთვის თავგანწირვით მებრძოლი დედა, გარდაცვალების შემდეგ თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდა.

აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა ქალბატონ ირინე ენუქიძის მიმართ პატივისცემის ნიშნად და მიეძღვნა ოჯახის სიმტკიცისა და სიწმინდის დაცვის დღეს.

ამ სახლში
1991-2007 წლებში ცხოვრობდა
თამარ მეფის ორდენოსანი,
საძარმლიანობისთვის
თავგანწირვით მებრძოლი დედა
ირინა ენუქიძე

— patriarchate.ge